

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

საზედამხედველო კომიტეტი

საველე ვიზიტი ტუბერკულოზის მობილურ ამბულატორიაში

2017 წლის 15 ივნისი

ვიზიტის საიტები:

თბილისის საბურთალოს რაიონის ტუბერკულოზის მობილური ამბულატორია

ვიზიტის მიზანი:

გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე ტუბერკულოზის პროექტის მიმდინარეობის სტატუსის შეფასება, აქტივობების განხორციელებისას გამოწვევების იდენტიფიცირება.

ვიზიტის ამოცანები:

1. გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე მობილური ამბულატორიის საპილოტე პროექტის ახლოს გაცნობა;
2. ანტიტუბერკულოზური მკურნალობის სერვისის მიწოდების მონიტორინგი;
3. პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი შესაძლო გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

მეთოდოლოგია:

- ✓ გასაუბრება საპილოტე პროექტის განხორციელებაში ჩართულ თანამშრომლებთან;
- ✓ გასაუბრება პროგრამების ბენეფიციარებთან.

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ნიკოლოზ მირზაშვილი - საზედამხედველო კომიტეტის წევრი, საქართველოს პაციენტთა კავშირი

ციცი სურამელი - საზედამხედველო კომიტეტის წევრი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

რუსუდან კლიმიაშვილი - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების კოორდინატორი

გიორგი კუჭუხიძე - გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

მალხაზ დავითაშვილი - კოორდინატორი

ლალი ჯანაშია - სუპერვაიზორი

ლალი ჩაფურიშვილი - უფროსი სუპერვაიზორი

ზოგადი კომენტარი: 2017 წლის მარტიდან ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრის ბაზაზე პაციენტებისათვის ანტიტუბერკულოზური მკურნალობის მისაწოდებლად მობილური ამბულატორია ამოქმედდა. პროექტი საპილოტეა და აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს.

TB მობილური ამბულატორია სერვისის მიწოდებას ახორციელებს თბილისში, საბურთალოს რაიონში, თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ტერიტორიიდან.

აღნიშნული სერვისის მობილური ამბულატორიის საშუალებით მიწოდებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის დასაწყისში საბურთალოს რაიონში მოქმედი ტუბ-დისპანსერი დაიხურა და მის ბაზაზე არსებული სერვისი შეწყდა.

მობილური ამბულატორიის უპირატესობა:

- ✚ საპილოტე პროექტის ფარგლებში პაციენტებს აქვთ საშუალება ანტიტუბერკულოზური მედიკამენტები საკუთარ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მიიღონ, რაც მათ დროს, ენერჯიასა და ფინანსებს ზოგავს;
- ✚ მობილური ამბულატორიის სამუშაო საათების განსაზღვრა პაციენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ხდება და რეგულირდება. ამ ეტაპზე ორივე მობილური ამბულატორია ერთად 36 პაციენტს ემსახურება, საიდანაც 24 სენსიტიური, ხოლო 12 - მულტირეზისტენტული პაციენტია.
- ✚ მობილურ ამბულატორიაში პაციენტებს ხვდებთ კომფორტული გარემო. მანქანები ორგანოფილებიანია – სენსიტიური და რეზისტენტული პაციენტებისათვის. გამომდინარე აქედან, პაციენტები ერთ სივრცეში არ ხვდებიან.
- ✚ ამბულატორიის განთავსებისათვის ოპტიმალურ ადგილად შეირჩა აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა – რესპუბლიკური საავადმყოფოს (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.29) მიმდებარე ტერიტორია გამომდინარე მისი ცენტრალური ადგილმდებარეობიდან და სხვა საჭიროებებზე, როგორცაა წყალი და სველი წერტილი/საპირფარეშო ხელმისაწვდომობის საშუალება.

- ✚ საავადმყოფოს ბაზაზე მოქმედებს 2 მობილური ამბულატორია, რაც შესაძლებლობას იძლევა პაციენტებმა დაუყოვნებლივ, ლოდინის გარეშე მიიღონ მომსახურება.

დაკვირვება:

- ✚ დღესდღეობით მობილური ამბულატორია მოქმედებს როგორც საბურთალოზე არსებული ტუბ-ცენტრის ჩამნაცვლებელი ანტიტურბკულუოზური მედიკამენტების მიმწოდებელი სერვისი. იმ პაციენტების უმრავლესობა, რომლებიც მკურნალობას აღნიშნულ ტუბდისპანსერის ბაზაზე გადიოდნენ, ვაკე-საბურთალოს რაიონში ალტერნატიული ამბულატორიული ტიპის მომსახურების არარსებობის გამო, მობილურ ამბულატორიაში გადამისამართდნენ. ალტერნალიტივის სახით, დისპანსერული მკურნალობის მისაღებად, შესაძლებელია თბილისის სხვა რაიონში არსებული ტუბ-დისპანსერის მომსახურებით სარგებლობაც, თუმცა მანძილის, დროის და ხარჯის გათვალისწინებით მობილური ამბულატორია ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი აღმოჩნდა სერვისის მისაღებად. ამას გარდა, იმ ექთნების ნაწილი, რომელთა უმუშალო მეთვალყურეობითაც მიმდინარეობდა ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობა, მობილურ კლინიკაში გადანაწილდნენ, რამაც კიდევ უფრო გაუადვილა მათ არჩევანის გაკეთება;
- ✚ მნიშვნელოვანია საჭირო ინფრასტრუქტურა (საპირფარეშოსა და სველი წერტილის) მობილურ ამბულატორიასთან სიახლოვეს არსებობა. აღნიშნულ შემთხვევაში პაციენტს უწევს რესპუბლიკური საავადმყოფოს შიგნით არსებული საპირფარეშოთი სარგებლობა, რაც საკმაო მანძილითაა მოშორებული მობილური ამბულატორიის ლოკაციიდან და ერთგავრ დისკომფორტს შეიძლება ქმნიდეს პაციენტისათვის;
- ✚ მობილური ამბულატორიის ბაზაზე მომუშავე მედ-პერსონალი ამჯობინებს დისპანსერულ მკურნალობას და წუხილს გამოთქვამენ ტუბ-დისპანსერის დახურვის გამო, თუმცა აღნიშნავენ, რომ პაციენტთა ინტერესების გათვალისწინება და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა მათთვის უმნიშვნელოვანესია;
- ✚ ზამთრის ცივი პერიოდის განმავლობაში მომსახურების მიწოდება შესაძლოა ერთგვარი გამოწვევა იყოს მობილურ ამბულატორიაში ჰიგიენური ნორმების ზედმიწევნით დაცვის კუთხით, რაც სივრცის ადეკვატურ ვენტილაციასთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, პრობლემურია მანქანების უკანა ნაწილის გათბობის საკითხიც, რაც ექთნების მიერ იქნა აღნიშნული. რეკომენდებულია, შესაბამისი ღონისძიებების გატარება ზამთრის მოახლოვებამდე.
- ✚ საავადმყოფოს ეზოში არსებული პარკინგით სარგებლობა ფასიანია და იმ პაციენტს, რომელიც მანქანით გადაადგილდება დანიშნულების ადგილამდე, პარკინგის თანხის გადახდაც უწევს, რაც დამატებითი ხარჯია მისთვის და არ შედის პროგრამის ფარგლებში ტრანსპორტირებისათვის გათვალისწინებულ

ფინანსურ წახალისებაში. რეკომენდებულია, იმ პაციენტებისათვის, ვინც მობილური ამბულატორიის ბაზაზე იღებს მკურნალობას, უფასოდ ისარგებლონ ადგილობრივი პარკინგით.

პაციენტების ხედვა:

- ✚ გამოკითხული ორი პაციენტიდან ორივემ აღნიშნა კეთილგანწყობილი გარემო, რაც შექმნილია მედ-პერსონალის მხრიდან მობილური ამბულატორიებში. განსაკუთრებით აღინიშნა ექთნების მხარდაჭერა და მათი როლი მკურნალობის წარმატებით მიმდინარეობის კუთხით;
- ✚ ერთ-ერთი პაციენტის მიერ აღინიშნა ფინანსური წახალისების 2 თვით დაგვიანების საკითხი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. პაციენტს განემრტა, რომ ფინანსური წახალისების დაგვიანება დაფიქსრდა მხოლოდ ერთჯერადად, რაც იყო დაკავშირებული დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში ახალი გრანტის ამოქმედებასთან. მას ასევე განემრტა, რომ პირველადი წახალისება გაიცემა პროგრამაში ჩართვიდან 2 თვის შემდეგ, შემდგომში კი ყოველთვიურად.
- ✚ ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიწოდებისას ყურადღება გამახვილდა საცხოვრებელ ადგილთან სიახლოვეს სერვისის მიწოდების პუნქტის არსებობაზე, რადგან მკურნალობა DOT-ის პრინციპით ხორციელდება. თუმცა, იმ პაციენტის მიერ, რომელმაც მკურნალობა ტუბ-დისპანსერის ბაზაზე დაიწყო და შემდეგ ჩაერთო მობილური ამბულატორიის საპილოტე პროექტში, გამოყო ტუბ-ცენტრის უპირატესობა უფრო კონფორტული გარემოს შექმნის თვალსაზრისით და აღნიშნა, რომ მობილური ამბულატორია ვერ ანაცვლებს ტუბ-ცენტრის მომსახურებას, განსაკუთრებით იმ პაციენტებისათვის, რომელთა მკურნალობა გვერდითი მოვლენებით მიმდინარეობს.